„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 06.07.2021 წლის N 105/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის N61/2021 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

N3 ოქმი

ქ. თბილისი 15 სექტემბრი, 2021 წელი

სხდომის დაწყების დრო:13.35

ქვეყანაში კორონავირუსის გამო შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომა დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული პლატფორმის, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით გაიმართა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი: თსუ პროფესორი მზია წერეთელი (კომისიის თავმჯდომარე); თსუ პროფესორი მარინე ჩიტაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); თსუ პროფესორი ვახტანგ ნადარეიშვილი (კომისიის მდივანი); თსუ პროფესორი რევაზ ჯორბენაძე; თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე და GIPA-ს პროფესორი მანანა გაბაშვილი.

დღის წესრიგი:

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპრატმანენტში პროფესორის ვაკანტურ ადგილზე

გამოცხდებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის - ანასტასია ქიტიაშვილის - _დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორის მზია წერეთლისა და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე, გასაუბრებაზე კონკურსანტის გამოსვლის შედეგები.

შეფასების ორივე ეტაპის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე, რომელიც განხორციელდა Zoom-ში ანონიმური კენჭისყრით.

ფსიქოლოგიის დეპარტამენტში პროფესორის თანამდებობაზე ანასტასია ქიტიაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა _- 6, წინააღმდეგი _- 0.

დაადგინეს:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის დასრულების დრო: 13.50 სთ.

კომისიის თავმჯდომარე
თსუ პროფესორი მზია წერეთელი



კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
თსუ პროფესორი მარინე ჩიტაშვილი

კომისიის მდივანი

თსუ პროფესორი ვახტანგ ნადარეიშვილი

კომისიის წევრი

GIPA-ს პროფესორი მანანა გაბაშვილი

კომისიის წევრი

თსუ პროფესორი რევაზ ჯორბენაძე



კომისიის წევრი

თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე